ადრესატი:

დავით დარჩია
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**05-37240503**
თარიღი: **19/02/2024**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის პაატა კიღურაძის

2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია, რომელიც წარმოადგენს საკრებულოს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც ფუნქციონირებს 2021 წლის 3 დეკემბრის საკრებულოს მიერ დამტკიცებული დებულებების შესაბამისად. მიმდინარე პერიოდისათვის კომისიის შემადგენლობა 15 საკრებულოს წევრით არის განსაზღვრული.

ერთგვაროვან ფუნქციათა დაჯგუფების მიხედვით კომისიაში შექმნილია ორი სამუშაო ჯგუფი:

1. სამანდატო და საპროცედურო საკითხთა სამუშაო ჯგუფი;

2. საკადრო პოლიტიკისა და ეთიკის სამუშაო ჯგუფი;

საანგარიშო პერიოდში კომისია თავის საქმიანობას წარმართავდა საქართველოს კონსტიტუციის, ევროპული ქარტიის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის რეგლამენტის, კომისიის დებულებისა და სამუშაო გეგმის შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდში კომისიის მიერ მომზადებული და ჩატარებული იქნა 12 სხდომა, რომელზეც განხილული იქნა 34 საკითხი, ესენია:

1. საკრებულოს წევრების სტატუსთან საკრებულოს წევრების თანამდებობრივი სამეწარმეო საქმიანობის შეუთავსებლობის არსებული მდგომარეობის განხილვის შესახებ;

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის და მერიის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“.

5. მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ყოველკვარტალური ანგარიშების განხილვის შესახებ.

6. საკრებულოს მოხელეთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების, სამუშაო აღწერილობებისა და ანგარიშების შედგენის მდგომარეობის განხილვა.

7. საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებში საკრებულოს წევრთა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დაზუსტება.

8. მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების გეგმა-გრაფიკის შესრულების ანგარიშის განხილვა.

9. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემის-მიღების წესის დამტკიცების შესახებ.

10. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

11. მშენებლობის (განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის გარდა)სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების), აქტის გამოცემის, დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის გადახდის წესისა და ოდენობის განსაზღვრის შესახებ“.

12. „ოზურგეთის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“.

13. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების შესახებ“.

14. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზღვრული ოდენობის განსაზღვრის შესახებ“.

15. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ მიღებული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ.

16. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2023 წელს განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

საანგარიშო პერიოდში დაწესებული იყო კონტროლი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა საკადრო პოლიტიკის განსაზღვრის, სამსახურებრივი ეთიკის, ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებასთან შესრულებაზე.

კომისია სისტემატურად უზრუნველყოფდა შემოსული წერილების, განცხადებების და პროექტების განხილვას.

კომისიის უფლებამოსილების სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე იკვლევდა მოსახლეობის ინტერესებს.

კომისია აქტიურად თანამშრომლობდა საკრებულოს სხვა მუდმივმოქმედ კომისიებთან და ფრაქციებთან, საკრებულოს წევრებთან.

2024 წლის პერიოდში გეგმავს კომისიის სამოქმედო სტრატეგიისა და სამუშაო გეგმის დახვეწას, რომელიც მნიშვნელოვან წილად გაზრდის კომისიის საქმიანობას ეფექტურობას მისი ძირითადი მიზნებისა და ამოცანების განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით.

კომისიის სახელით მინდა მადლობა გადავუხადო საკრებულოს ხელმძღვანელობას, საკრებულოს აპარატს, განსაკუთრებული მადლობა კომისიის წევრებს თანადგომისათვის.

პაატა კიღურაძე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე